

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № PE-SX-130217-1

ქ. თბილისი

13.02 2017 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთის მხრივ, – შპს “დელტა ინტერნეიშენალ” (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის ოთარ ჩიტეიშვილის სახით სახით და მეორეს მხრივ, სსიპ „საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო“ (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ მემანიშვილის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ კანონქვემდებარე აქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე::

2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი

2.1. ხელშეკრულების ობიექტი და საგანია დანართი N1-ით გათვალისწინებული თარგმნის მომსახურების (შემდგომში – მომსახურება) შესყიდვა. (CPV - 79530000)

2.2. დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3. დანართით განისაზღვრება ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ, ესპანურ, იტალიურ, აგრეთვე აფხაზურ ენებთან დაკავშირებით ამ მუხლის 2.4 და 2.5 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების ვადები და საფასურის ოდენობა;

2.4. დოკუმენტის თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება.

2.5. დოკუმენტის უცხოენოვანი/აფხაზურენოვანი/ქართულენოვანი ტექსტის რედაქტირება.

2.6. იმ უცხო ენებზე, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის 2.3; 2.4 და 2.5 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური და ვადები განისაზღვრება ხელშეკრულებით, ერთი გვერდისათვის ამ ხელშეკრულების დანართით შესაბამისი მომსახურებისათვის განსაზღვრული ოდენობიდან 50 ლარამდე ოდენობის ფარგლებში.

2.7. თარჯიმნის მომსახურება (სინქრონული თარგმანი და სხვა სახის მომსახურება) ყველა უცხო ენაზე განისაზღვრება კონკრეტული შეთანხმებით 1 საათში გაწეული მომსახურებისათვის 300 ლარამდე ოდენობით.

2.8. გვერდების რაოდენობა იანგარიშება ნათარგმნი დოკუმენტის თითოეული გვერდის მიხედვით, არასრული გვერდი ჩაითვლება ერთ გვერდად.

2.9. ერთი გვერდის მოცულობად ჩაითვლება 1800 საბეჭდი სიმბოლო (მათ შორის, სასვენი ნიშნებისა და ინტერვალების ჩათვლით).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების ჯამური საორიენტაციო ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 177.00 (ას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.
- 3.2. მიმწოდებლის მომსახურებისათვის საფასურის ოდენობა განისაზღვრება დღგ-ის გარეშე.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება წერილობითი შეკვეთის მიღებიდან წინასწარ შეთანხმებულ გონივრულ ვადაში დანართით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევის ვადების ფარგლებში.

5. ხელშეკრულების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ პირებს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

6.1. მხარეები ანგარიშსწორებას ანხორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ანგარიშ-ფაქტურის გამოგზავნის შემდეგ არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეების უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას დათქმულ დროსა და ადგილზე გაუწიოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების (მათ შორის უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) შემთხვევაში დაეკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1% ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური საორიენტაციო ღირებულების 2%-სა.

7.1.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

7.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2. მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს პირგასამტეხლო, ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური საორიენტაციო ღირებულების 2%-სა.

7.3. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

7.3.1. მიმწოდებლისგან ითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე გაწევა.

7.4. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.9. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8. სუბკონტრაქტორები

8.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

9.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით და სხვა გარემოებებით.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

11. სხვა პირობები

11.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11.2 თარგმნის მომსახურების გაწევა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

11.3 მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

11.4 ხელშეკრულებაში ცლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ იმ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.5 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

11.6 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

11.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შპს „დელტა ინტერნეიშნალ“
მისამართი: ქ. თბილისი, მნათობის ქ. #73
ტელ./ფაქსი: 2955027
საიდენტიფიკაციო კოდი №401960614
მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE 22
მიმღების ანგარიში:
GE78TB7447436040100001

მიმწოდებელი:

სსიპ „საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმნის ბიურო“
მისამართი: ქ. თბილისი, ჩიტაძის №4
ტელ: 2 28 47 76; 591 19 88 77
საიდენტიფიკაციო კოდი №204427753
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი
ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი:
707307066



დირექტორი

ოთარ ჩიტეიშვილი

დირექტორი



ნიკოლოზ მემანიშვილი

N	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	საფასურის ოდენობა ერთი გვერდისათვის
1	1-დან 15 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	7 სამუშაო დღე	25 ლარი
2	16-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	30 სამუშაო დღე	23 ლარი
3	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება ხელშეკრულებით	23 ლარი
4	1-დან 20 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტების თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	3 სამუშაო დღე	5 ლარი
5	21-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტების თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	7 სამუშაო დღე	5 ლარი
6	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმანის რედაქტირება და ოფიციალური დამოწმება	განისაზღვრება ხელშეკრულებით	12.5 ლარი
7	1-დან 10 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის უცხოენოვანი/აფხაზურენოვანი/ქართულენოვანი ტექსტის რედაქტირება	7 სამუშაო დღე	5 ლარი
8	11-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის უცხოენოვანი/აფხაზურენოვანი/ქართულენოვანი ტექსტის რედაქტირება	30 სამუშაო დღე	5 ლარი
9	50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის უცხოენოვანი/აფხაზურენოვანი/ქართულენოვანი ტექსტის რედაქტირება	განისაზღვრება ხელშეკრულებით	12.5 ლარი

შემსყიდველი:

შპს "დელტა ინტერნეიშნალ"

საიდენტიფიკაციო კოდი № 401960614

დირექტორი



ოთარ ჩიტეიშვილი

მიმწოდებელი:

სსიპ „საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო“

საიდენტიფიკაციო კოდი №204427753

დირექტორი




ნიკოლოზ მემანიშვილი

10. [Signature]

1/27/21

Item No.	Description	Quantity	Unit Price	Total
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20



მიღება-ჩაბარების
აქტი

ქ. თბილისი

17 02 2017 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, შპს „დელტა ინტერნეიშენალ“, შემდეგომში – შემსყიდველი და მეორე მხრივ სსიპ „საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო“ შემდგომში–მიმწოდებელი, ვადასტურებთ, რომ ჩვენ შორის 2017 წლის 17 თებერვალს გაფორმებული № PE-SX-130217-1 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელმა გაუწია შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად, რომლის ღირებულებამ შეადგინა 177.00 (ას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი.

მიიღო
შემსყიდველი:

შპს „დელტა ინტერნეიშენალ“

დირექტორი

ოთარ ჩიტეიშვილი



17 02 2017 წ.

ჩააბარა
მიმწოდებელი:

სსიპ „საერთაშორისო
ხელშეკრულებათა თარგმნის
ბიურო“

დირექტორი

ნიკოლოზ მემანიშვილი



“ ” 2017 წ.

ი ნ გ ო ი ს ი N 037

14 თებერვალი 2017 წელი

შემსრულებელი: საქართველოს საერთაშორისო
ხელშეკრულებების თარგმნის ბიუროს
და მისი მისამართი: ქ. თბილისი, ჩიტაძის №4
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი
ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22
სახაზინო კოდი 707307066

დამკვეთი : შპს „დელტა
ინტერნეიშენალ“

№	შესასრულებელი სამუშაო	ერთეულის ღირებულება ლარებში	გვერდების	თანხა	დ.ღ.გ	სულ თანხა ლარებში
	- სატესტო გამოცდების და მიღება-ჩაბარების მეთოდები	25	6	150	27	177
1						
						177

საქართველოს საერთაშორისო
ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს

ღირებულება: 6. მემანეთილი.



(Handwritten signature)

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი №III-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. №96 წლის ბრძანებით

დადასტურებული 22/02/2017 13:25

1 ეა-13 5892589

3 თებერვალი 2017

ობიექტის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4 17 თებერვალი 2017

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5

გამყიდველი

5.1 2 0 4 4 2 7 7 5 3

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6

მყიდველი

6.1 4 0 1 9 6 0 6 1 4

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2 აქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო
დასახელება (სახელი, გვარი)

6.2 შპს დელტა ინტერნეიშენალ
დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
თარგმნით მომსახურება	მომსახურება		177,0000	27,0000	0,0000
		სულ	177	27	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა _____ ბ.ა.

ხელმოწერა _____ ბ.ა.